

პრობლემური სესხების ზრდის გამომწვევი ფაქტორები საქართველოში

მარია ბენდელიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საბანკო საქმეში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი, ასისტენტ - პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიკა ბენდელიანი

30.01.2021

აბსტრაქტი

თანამედროვე ეპოქაში, როგორც საქართველოში ასევე მთელს მსოფლიოში მკვეთრად შეინიშნება და აქტუალობას არ კარგავს საკითხი, პრობლემური სესხების ზრდის შესახებ. სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით ამის გამომწვევი მიზეზები, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ ფინანსური ფონია. კვლევის მიზანს წარმოადგენს, არსებული პრობლემის გაანალიზება და გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, ასევე პრობლემის გადამჭრელი გზების ძიება.

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი კომპონენტი, კომბინირებული ინტერვიუ ჩატარდა სფეროში დასაქმებულ ან ამ კუთხით გამოცდილ ადამიანებთან, რომელიც გულისხმობდა პრობლემის გადაჭრის კუთხით მათი მოსაზრებების იდენტიფიცირებას.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საინტერესო მიგნებები. კერძოდ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, პრობლემური სესხების გამომწვევ მიზეზებად უმუშევრობა, სიღარიბე, სოციალური უთანასწორობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთი და ინფორმაციის ნაკლებობა გამოიკვეთა. ასევე განხილული ლიტერატურის, მეცნიერების, მკვლევარების, ექსპერტებისა და ფინანსისტების, ეკონომისტების მოსაზრებების მიხედვით, ქვეყნის მთავრობას და ცენტრალურ ბანკს მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა პრობლემის გადაჭრის საკითხში.

საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, ფინანსური სფეროს პრობლემების იდენტიფიცირება და ზედამხედველობის გამკაცრება ქვეყნის ცენტრალური ბანკის მხრიდან, რათ მოხდეს როგორც კომერციული ბანკების და არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირების ხელშეწყობა, ასევე მომხმარებლების ინტერესების დაცვა, რაც პირდაპირპოპორციულ დამოკიდებულებაშია აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საკითხთან.

Abstract

In the modern era, both in Georgia and around the world, the issue of the growth of problem loans is sharply observed and relevant. According to various opinions, the reasons for this are the economic, political, social or financial background of the country. , As well as the search for problem-solving ways.

Both quantitative and qualitative components were used for the research, a combined interview was conducted with people employed in the field or experienced in this field, which aimed to identify their views on problem solving.

Interesting findings were found in the current study. Most of the respondents, in particular, identified unemployment, poverty, social inequality, high interest rates and lack of information as the causes of problem loans. According to the literature, science, researchers, experts and financiers, economists, the government and the central bank have played an important role in solving the problem.

Given the current situation in the banking and financial system of Georgia, it is important to identify problems in the financial sector and tighten supervision by the central bank to promote the successful operation of commercial banks and non-bank financial institutions, as well as to protect the interests of consumers.